პროექტი

საქართველოს კანონი
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

1. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

2. თუ მოთხოვნა წარმოიშვა პირის არასრულწლოვნობის პერიოდში და გამომდინარეობს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობისგან, ხანდაზმულობა იწყება პირის სრულწლოვნობის მიღწევის მომენტიდან.“.

2. 183-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 183. უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა გარიგების საფუძველზე

1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

2. ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად და სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.“.

3. 186-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. ბავშვის საკუთრებაში არსებული 500 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის გასხვისება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია

ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად და სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.“.

4. 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ. 10 წლამდე ასაკის ბავშვის გვარის შეცვლისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობაც.“.

5. 1198[1] მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არასრულწლოვანს აქვს მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს და სასამართლოს.“.

6. 1206-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან ბავშვის ინიციატივით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

7. 1209-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას

სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც.“.

8. 1255-ე და 1256-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1255. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე

1. 10 წლამდე ასაკის ბავშვის გაშვილებისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი.

2. იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

3. ბავშვის თანხმობა ირკვევა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე ბავშვის მოსმენის შედეგად.

4. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლიდა, შვილება, გამონაკ-ლისის სახით, შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშეც.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**